

მდგრადი სტვირთო რკინიგზა: გაზრდილი გადაზიდვის, მუშაობის უნარიანობი და  
შემცირებული ღირებულების სატვირთო ეკიპაჟი-ლიანდაგის სისტემის  
დაპროექტება

პროექტში ძირითადი ამოცანებია რკინიგზის სატვირთო ეკიპაჟის მუშაობის საიმედოობის, ტექნიკური მომსახურების შემცირების და სიჩქარის გაზრდა მოძრავი შემადგენლობისა და ლიანდაგის ურთიერთქმედების და ეკიპაჟისა და ლიანდაგის კომპონენტების სრულყოფის სფუძველზე. პროექტის ამოცანები მოიცავს აგრეთვე სამუხრუჭე სისტემების, ვიბრაციების და ხმაურის, ხახუნის მართვის და სხვა საკითხებს. პროექტის შესრულდა ინფრასტრუქტურის მენეჯერების, სატვირთო ოპერატორების, რკინიგზის სექტორში მონაწილე კომპანიების და მეცნიერთა მონაწილეობით. პროექტის შედეგების ნაწილი წარმატებით დაინერგა ევროპის რკინიგზაზე, ნაწილი კი დანერგვის გეგმით არის გათვალისწინებული.

აღნიშნულ პროექტში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მონაწილეობა ასახულია თავში - ხახუნის მართვა, რომელიც მიეძღვნა თვლისა და რელსის და თვლისა და სამუხრუჭე ხუნდის ურთიერთქმედებას. თვლისა და რელსისათვის შეიქმნა ეკოლოგიურად უვნებელი ფრიქციული და ანტიფრიქციული ხახუნის მოდიფიკატორები, რომლებც ლაბორატორიულ პიორბებში წარმატებით გამოიცადა.